14 მაისი 2025

საქართველოს ეროვნულ ბანკს

მოგესალმებით,

ემიტენტის შესახებ ინფორმაციის გაჭვირვალეობისა და ემიტენტისათვის ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის დანიშვნის წესის დამტკიცების თაობაზე ბრძანება N181/04-ის თანახმად საჯარო წილობრივი ან საჯარო სასესხო ფასიანი ქაღალდების ემიტენტი ვალდებულია მოამზადოს, საქართველოს ეროვნულ ბანკს წარუდგინოს და გამოაქვეყნოს წლიური ანგარიში, რომელიც მოიცავს:

1) აუდიტორის მიერ დადასტურებულ ფინანსურ ანგარიშგებას
2) მმართველობის ანგარიშგებას

წლიური ფინანსური ანგარიშგება უნდა მომზადდეს და აუდიტირება განხორციელდეს საზოგადოებრივი დაინტერესების პირისთვის „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

მშობელი საწარმო, რომელიც „ბურალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის სარეკომენდაციო მითითების საფუძველზე, უფლებამოსილია წარადგინოს მხოლოდ ერთი ფინანსური და შესაბამისი მმართველობითი ანგარიშგება, თუ მისი ყველა შვილობილი საწარმო არაარსებითია როგორც ინდივიდუალურად, ისე ერთობლივად და სხვაობა ინდივიდუალურ და კონსოლიდირებულ ფინანსურ და ინდივიდუალურ და კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებებს შორის ასევე არის არაარსებითი.

2024 წლის წლიურ საანგარიშო პერიოდში, შპს „სელფი მობაილ“ ფლობს 51%-იანი წილით, შვილობილ კომპანიას შპს „პეისი“, რომელიც 2023 წლის იანვარში დაფუძნდა საქართველოში. შვილობილ კომპანიას საოპერაციო საქმიანობა ჯერ არ განუხორციელებია, შესაბამისად შვილობილი საწარმო არაარსებითია.

შპს „სელფი მობაილის“ კონოსლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებებს შორის, კერძოდ მთლიანი აქტივების, მთლიანი ვალდებულებების და წმინდა მოგების სხვაობა არ არსებობს. ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე შპს „სელფი მობაილმა“ წარადგინა აუდიტორის მიერ დადასტურებული ინდივიდუალური წლიური ფინანსური ანგარიშგება და შესაბამისი წლიური მმართველობითი ანგარიშგება.

პატივისცემით,

როსტომ ტალახაძე

გენერალური დირექტორი, შპს „სელფი მობაილ“

ვადასტურებ ზემოთ აღნიშნული ინფორმაციის სისწორეს:

ლაშა ჯანელიძე (Reg.# SARAS-A-562091)

პარტნიორი, შპს ფრაისუოთერჰაუსკუპერს საქართველო (Reg.# SARAS-F-775813)